# საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

ალტე უნივერსიტეტი

## საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრული და უწყვეტი, თანამონაწილეობითი და გამჭვირვალე  პროცესია, რომელიც ემსახურება პროგრამის სუსტი თუ ძლიერი მხარეების გამოვლენას, სუსტის აღმოფხვრას და ძლიერის განვითარებას, შედეგად კი - პროგრამის გაუმჯობესებას.

ამ პროცესის პირველი ეტაპია პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგების ჩამოყალიბება, მეორე ეტაპია კურიკულუმის აგება და მისი ანალიზი, მესამე ეტაპია დამდგარი სწავლის შედეგების შეფასება, ხოლო ბოლო ეტაპია შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.



# საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

### *პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება*

პროგრამის მიზნების შესაბამისად უნდა განვსაზღვროთ პროგრამის სწავლის შედეგები (იხ. ,,საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები“)

### *კურიკულუმის ანალიზი*

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრის შემდეგ უნდა აიგოს კურიკულუმი - უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/სხვა კომპონენტების (შემდგომში - სასწავლო კურსები) ის ერთობლიობა, რითაც ვუზრუნველყოფთ სტუდენტებისთვის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ ეს შესაძლებლობა რეალურია და პროგრამის სწავლის შედეგებსა და კურიკულუმს შორის ურთიერთშესაბამისობა მიღწეულია, უნდა ავაგოთ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირების რუკა - კურიკულუმის რუკა. ეს რუკა ასახავს, თუ რომელი სასწავლო კურსების მეშვეობით ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. აღნიშნული რუკა უნდა წარმოვადგინოთ ცხრილის სახით (იხ. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები, გვ. 21-23). ცხრილში უნდა აისახოს, რომელ შედეგს რომელი სასწავლო კურსები ავითარებენ და რა დონით (მაგ.: გაცნობა ➡ გაღრმავება ➡ განმტკიცება) ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის ამა თუ იმ შედეგს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა სწავლის შედეგი განვითარდეს სამივე დონეზე. ამასთან, შესაძლებელია, ერთი სასწავლო კურსი ახდენდეს რომელიმე სწავლის შედეგის გაცნობას, მეორე - მის გაღმავებას და ა.შ., ან ერთი სასწავლო კურსი ახდენდეს რომელიმე სწავლის შედეგის გაცნობას და გაღმავებას, ან გაღრმავებას და განმტკიცებას. ერთი სასწავლო კურსი შეიძლება მონაწილეობდეს ორი და მეტი სწავლის შედეგის განვითარებაში.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში უნდა ჩანდეს კავშირი პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგთან (მოცემული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან კავშირის თვალსაჩინო დემონსტრირებისათვის სილაბუსებში უნდა ავაგოთ სწავლის შედეგების რუკა. სავალდებულო არ არის, ამა თუ იმ სასწავლო კურსის ყველა სწავლის შედეგი უკავშირდებოდეს პროგრამის სწავლის შედეგს, სასწავლო კურსს შეიძლება ჰქონდეს ,,საკუთარი“ სწავლის შედეგიც.

კურიკულუმის რუკის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მოხდეს მისი ანალიზი და იმის დადგენა, ნამდვილად უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმი პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას სტუდენტებში, ხომ არ გვაქვს ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი პროგრამაში, რომელიც პროგრამის არც ერთ სწავლის შედეგს არ ავითარებს, ან ხომ არ არის პროგრამაში ისეთი სწავლის შედეგი, რომელსაც არც ერთი სასწავლო კურსი არ ავითარებს.

### ჩართული სუბიექტები

კურიკულუმის რუკის შედგენასა და ანალიზში პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან ერთად ჩართული უნდა იყოს თითოეული სასწავლო კურსის ხელმძღვანელიც. თითოეული სასწავლო

# საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

კურსის ავტორმა/განმახორციელებელმა უნდა იცოდეს, თუ რა როლი აქვს შესაბამის სასწავლო კურსს პროგრამაში, რა წვლილი შეაქვს მას პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში. ერთობლივი მუშაობის პროცესში უკეთ ხდება ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გაანალიზება, მაგალითად: რა სწავლის შედეგებზე გვინდა რომ გავიდნენ სტუდენტები პროგრამის დასასრულს, რომელ სასწავლო კურსში რა ისწავლება და რა დონეზე, ხომ არ არის გადაფარვები (დუბლირება) სასწავლო კურსებში, ან ხომ არაა პროგრამიდან გამორჩენილი ისეთი საკითხები, რომელთა სწავლებაც მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; რა თანმიმდევრობით ისწავლება ესა თუ ის საკითხი პროგრამაში და სხვ.

### *პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება*

შემდეგი ეტაპია პროგრამის სწავლის შედეგების <u>შეფასების გეგმის ჩამოყალიბება.</u> სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში უნდა აისახოს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები, რა დროს (პროგრამის დასასრულს/შესაბამისი შედეგის ფორმირების დასასრულს) და რა პერიოდულობით. ასევე, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს.

პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეფასდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. <u>პირდაპირი შეფასების მეთოდია</u> ის, რომლის მეშვეობითაც მოწმდება, მიაღწია თუ არა სტუდენტმა პროგრამის სწავლის შედეგს სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს ტესტი, ესე, პორტფოლიო, სიმულაცია, პრაქტიკის მენტორის მიერ შეფასება და ა.შ.

საუკეთესოა, როდესაც პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდება იმ სასწავლო კურსებში (ე.წ. major სილაბუსები), რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება. თუ სამაგისტრო პროგრამა ფასდება, კარგი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს უპირატესად სამაგისტრო ნაშრომში (საბაკალავრო პროგრამაშიც შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასება საბაკალავრო ნაშრომში).

აღნიშნულის გათვალისწინებით სამიზნე ნიშნული განისაზღვრება შემდეგნაირად: მაგ., პროგრამის სტუდენტების 70% მიიღებს 15 დან 25 ქულამდე შეფასებას პროგრამის პირველ სწავლის შედეგში (იმ შემთავევაში, თუ ეს სწავლის შედეგი ფასდება, მაგალითად, პროექტის მეშვეობით, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 25 ქულა, რომელიც, თავის მხრივ, ნაწილდება შეფასების იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც უშუალოდ ზომავს მოცემულ სწავლის შედეგს (ე.წ. major სულაბუსში სწავლის შედეგის შეფასება).

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართულ სტუდენტთა რიცხვი ძალიან დიდია, შეიძლება შეფასდეს მათი ნაწილი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებული შეფასება იყოს ვალიდური და სანდო.

შეფასების <u>არაპირდაპირი მეთოდებია</u> სტუდენტის მიერ თვითშეფასება, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება, დასაქმების მაჩვენებელი, სასწავლო კურსებში მიღებული ქულები,

# საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

პროგრამის დასრულების მაჩვენებელი და ა.შ., რითაც იქმნება წარმოდგენა სტუდენტის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ, შეფასების ირიბი საშუალებების გამოყენებით, ხშირ შემთხვევაში პირდაპირი მტკიცებულებების გარეშე. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით უნდა მომზადდეს კითხვარი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება პროგრამის სწავლის შედეგები და სტუდენტები/კურსადმათავრებულები აღნიშნავენ თავიანთ მოსაზრებას, თუ რა დონეზე მიაღწიეს ამა თუ იმ სწავლის შედეგს. იგივე კითხვარი გაიგზავნება დამსაქმებლებთან.

ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა: მაგ., პროგრამის კურსდამთავრებულების 60 % კვალიფიკაციის მინიჭებიდან 1 წლის განმავლობაში დასაქმდება პროფილურად, ან პროგრამის კურსდამთავრებულების 40 % გადავა სწავლების შემდეგ საფეხურზე და სხვ.

ზოგიერთი მეთოდის გამოყენება შეიძლება  როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასებისთვის. მაგალითად, სტუდენტის საკონფერენციო ნაშრომი, იმ შემთხვევაში თუ უბრალოდ აღვნიშნავთ საკონფერენციო ნაშრომის დაწერის ფაქტს, ეს იქნება სწავლის შედეგის მიღწევის არაპირდაპირი მტკიცებულება, მაგრამ თუ მოხდება მისი განმსაზღვრელი შეფასება გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც უშუალო კავშირშია პროგრამის სწავლის შედეგთან - მაშინ ეს იქნება პირდაპირი შეფასება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი წარმოდგენილი უნდა იყოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, სადაც უნდა ჩანდეს, თუ რომელი დავალებ(ებ)ით, როდის, ვის მიერ შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი (შესაძლებელია მიეთითოს, სტუდენტთა რა რაოდენობაზე განხორციელდება შეფასება, თუ მათი რაოდენობა დიდია და ყველა სტუდენტზე გაძნელდება შეფასების განხორციელება). სასურველია მიეთითოს (ან დაერთოს) დავალებების შესაფასებლად გამოსაყენებელი კრიტერიუმები.

*<u>შენიშვნა:</u>*  სასწავლო კურსში მიღებული საბოლოო შეფასება არ არის პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატური (პირდაპირი) შეფასება, ვინაიდან ის აფასებს მოცემული სასწავლო კურსის არა მხოლოდ  იმ შედეგებს, რომელიც კავშირშია პროგრამის ამა თუ იმ კონკრეტულ სწავლის შედეგთან, არამედ  იმასაც, რომელიც არ არის უშუალო კავშირში პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატური (პირდაპირი) შეფასებისათვის გამოიყენება იმ კონკრეტული დავალების შედეგი, რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნულ სწავლის შედეგს.

## ჩართული სუბიექტები

სწავლის შედეგების შეფასებაში, თითოეული სასწავლო კურსის ხელმძღვანელებთან ერთად, ჩართული უნდა იყოს პროგრამის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცებულებების შეგროვებას, ასევე დამსაქმებლები, რომლებიც უშუალოდ, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, აფასებენ სტდენტთა მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; თავად სტუდენტები/კურსდამთავრებულები, ვინაიდან სწორედ მათ მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა მოწმდება.

# საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია

*შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად*

მეოთხე ეტაპზე, დამდგარი შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების გზით და ანალიზის საფუძველზე, ხდება იმის გარკვევა, მიაღწიეს თუ არა სტუდენტებმა დაგეგმილ სწავლის შედეგებს და რა დონით მიაღწიეს. ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ მზადდება სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, რომელიც წარედგინება ყველა დაინტერესებულ მხარეს (პროგრამის კომიტეტის გაფართოვებულ შეხვედრაზე).

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის რომელიმე სწავლის შედეგი არ იქნა მიღწეული, ან არასაკმარისი დონით იქნა მიღწეული სტუდენტთა უმრავლესობის მიერ, პროგრამის განმავითარებელი ჯგუფი (პროგრამის კომიტეტი), პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, მ. შ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად, დამსაქმებლებთან თანამშრომლობით და კურსდამთავრებულების მოსაზრებების გათვალისწინებით, გადახედავს იმ სასწავლო კურსებს/კომპონენტებს, რომლებიც ამ შედეგს ავითარებენ და შეიტანს მასში ცვლილებებს (პრერეკვიზიტის, სწავლების სემესტრის, შინაარსის, სწავლების თუ შეფასების მეთოდების, ლიტერატურის, საათების/კრედიტების მოცულობის და სხვ.).

შესაძლებელია, საჭირო გახდეს ახალი სასწავლო კურსის დამატება (ან პირიქით, არსებულის ამოღება), სასწავლო კურსისთვის სტატუსის შეცვლა (არჩევითიდან სავალდებულოში გადატანა ან პირიქით); სასწავლო პროცესის ორგანიზების გადახედვა; საკონსულტაციო მუშაობის გაძლიერება და სხვ.

საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების კორექტირება.

შეფასების შედეგები, მათი ანალიზი და ანალიზის შედეგად მიღებული ცვლილებები (რომლებიც განხორციელდება იგივე პროცედურით, რაც უნივერსიტეტში დადგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისათვის) აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში.